შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School

ვმოგზაურობთ წიგნებისა და ფილმების სამყაროში

- 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე იფუნქციონირებს მკითხველთა წრე „მწვანეთითება ტისტუ“
- წრის აქტივობებში ჩაერთვებიან I-II და III-IV კლასის მოსწავლეები. წრეს უხელმძღვანელებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მარიამ ღუბელაძე და ეკატერინე ყიფიანი

„მწვანეთითება ტისტუ“

წრის ლოგო და სლოგანი:

წიგნებს უჩვენოდ სძინავთ , მათ ჩვენი
პაწია მწვანე თითების შეხება გააცოცხლებს...

წრის მიზანი:

- წიგნის სამყაროსთან ურთიერთობა, ახალი გამოცდილების შეძენა.
- კითხვის მოტივაციის ამაღლება.
- გაგება-გააზრების, ინტერპრეტირებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.
- კითხვის სტრატეგიებზე მუშაობა.
- ლექსიკის გამდიდრება.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება.
- ფილმების სამყაროს გაცნობა, ნანახისა და წაკითხულის შედარება.

წრის მუშაობის ზოგადი პროცესი:

1. წიგნის შერჩევა:

- ✓ არჩევანის გაკეთება.
- ✓ წაკითხვის გეგმაზე შეთანხმება

2. წიგნის წაკითხვა.

- ✓ წიგნის მიხედვით ნამუშევრების დამზადება(პლაკატები, კოლაჟები...)
- ✓ ნამუშევრების პრეზენტაცია

3. წიგნის განხილვა:

- ✓ დისკუსიის წარმართვა
- ✓ დასკვნების შეჯამება

4. დამატებითი აქტივობები:

- ✓ ტექსტის გააზრება.
- ✓ ჩანაწერების გაკეთება.
- ✓ კომენტარების მომზადება განხილვისთვის.

წრის სამოქმედო გეგმა:

- 1.წრის წევრები შეიკრიბებიან კვირაში ორჯერ (სამშაბათი, ხუთშაბათი)ხანგრძლივობა 45წთ, იყოფიან ორ ჯგუფად ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით. (I-II და III-IV კლასის მოსწავლეები).
- 2. შეხვედრის ადგილი: ბიბლიოთეკა, სკოლის ეზო, მზიურის ბაღი.
- 3. გაეცნობიან ქართველი და უცხოელი ავტორების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებს, ნახავენ წაკითხული წიგნების ეკრანიზაციებს.
- 4. შექმნიან პლაკატებს, კომიქსებს, კოლაჟებს, დღიურის ჩანაწერებს, ანოტაციებს, მინი სპექტაკლებს.
- 5. წრეში გაწევრიანდებიან მოსწავლეები სურვილისამებრ.

ვკითხულობთ და ვეცნობით თანამედროვე ქართველ ავტორებს.

I –II კლასის მოსწავლეებისთვის

- ლელა ცუცქირიძე - „უუუ კულელე და სხვა მოთხრობები“
- ნინო ლომიძე - „ უშბა და მეგობრები“
- დ. ჯავახიშვილი - „ ბიძია სევას ამბები“
- თეა თოფურია- „ერთი გრძელი დღე სხვა პლანეტაზე“
- დიანა ამფიმიადი- „სახატავ რვეულში ჩაწერილი ამბები“

ვკითხულობთ და ვეცნობით თანამედროვე უცხოელ და ქართველ ავტორებს. III-IV კლასის მოსწავლეებისთვის.

- ასტრიდ ლინდგრენი - „მიო, ჩემო მიო“
- არჩილ სულაკაური- „ სალამურას თავგადასავალი“
- გურამ პეტრიაშვილი -“ პატარა ქალაქის ზღაპრები“
- როალდ დალი- „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“
- პალაციო- „საოცრება“
- ტუვე იანსონი - ტომეული მუმინებზე
- სარა პენიპიკერი- „ჰაქსი“
- ქარლი სოროსიაკი - „მე კოსმო“



მოგზაურობა ანიმეებისა და ფილმების სამყაროში







ბარათები (კითხვები) მინი დისკუსიისთვის, წაკითხულის განსახილველად .

- ივარაუდე, რა მოხდება შემდეგ?
- აღწერე გარემოებები, მოქმედების დრო და ადგილი.
- რა თვისებებით დაახასიათებდით პერსონაჟებს, სად ჩანს?
- რომელი პერსონაჟი მოგწონს, რომელის საქციელი არ მოგეწონა, იმსჯელე, რატომ იქცევა ასე.
- რომელ მონაკვეთში გახდებოდი ამ წიგნის პერსონაჟი, რას გააკეთებდი, რატომ?
- დაუკავშირე წიგნის სიუჟეტი, სათქმელი სხვა ტექსტებს, ფილმებს, შენს გამოცდილებას, გარესამყაროს.
- რა პრობლემაა წამოჭრილი, პერსონაჟის ადგილას შენ როგორ გადაწყვეტდი?
- რომელი პერსონაჟი გგავს შენ ყველაზე მეტად, რითი გგავს, რითი განსხვავდებით?

- დაწერე წიგნის განსხვავებული დასასრული.
- შეარჩიე პერსონაჟი, რომელსაც შეხვდებოდი, დაწერე სამი შეკითხვა, რომელსაც მას დაუსვამდი.
- მისწერე წერილი მასწავლებელს, მეგობარს ან მშობელს ამ წიგნის შესახებ.
- წარმოიდგინე, რომ ეს წიგნი დასაჯილდოებლადაა წარდგენილი. ჩამოთვალე სამი მიზეზი, რის გამოც ჯილდო მას უნდა მიენიჭოს.
- რა ისწავლე მნიშვნელოვანი წაკითხულიდან, რასაც გამოიყენებდი რეალობაში.
- რას შეცვლიდი ამ წიგნში?
- გააცანი მეგობრებს წაკითხული წიგნი და დაუსახელე არგუმენტები, რატომ ურჩევ.
- რა შეგრძნებები აღძრა შენში წაკითხულმა?